განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის დახვეწის თაობაზე"

საქართველოს პარლამენტის დადგენილების წარმოდგენილი პროექტის მიზანია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედების ეფექტურობის ზრდა. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით ავტოხატრანსპორტო საშუალების მძღოლების, მგზავრების, ქვეითთა და საპატრული პოლიციის მიმართ გათვალისწინებულია გარკვეული უფლებები და ვალდებულებანი, რის შესახებად საზოგადოების ინფორმირება განსაკუთრებულად გაზრდის მოცემული კანონმდებლობის აღსრულების ეფექტურობას.

ამავე დროს საქართველოში დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მთელი რიგი გადაცდომები სატრანსპორტო სფეროში. მოცემული კოდექსით ასევე დადგენილია აღნიშნული გადაცდომების მიმართ სახდელების დადების ფორმა და პროცედურა.

საქართველოს პარლამენტის ოერიდიული საკითხთა კომიტეტმა არასამთავრობო ორგანიზაციასთან "საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო" ერთად განახორციელა კვლევა ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის და მისი მოქმედების თვალსაზრისით. კვლევის ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების (ე.წ. ფოკუს ჯგუფების) აზრის გამოკითხვა მათთან შეხვედრების და დისკუსიების წარმართვის გზით. მოცემული შეხვედრების შედეგად განხილებულ იქნა კონკრეტული საკითხები და გამოითქვა კონკრეტული რეკომენდაციები. მათ შორის აღსანიშნავია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს. დადგენილების პროექტის მე-2 პუნქტით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკალება აღნიშნული კვლევის შედეგად წამოჭრილი საკითხების შესწავლა და საქართველოს პარლამენტისათვის კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებების წარდგენა.

დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტში არსებული საკითხების დაკონკრეტების მიზნით გთხოვთ იხილოთ ზემოთ აღნიშნული კვლევის ფარგლებში ე.წ. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ანალიზი (იხ. დანართი)

დადგენილების ავტორი და ინიციატორია პარლამენტის წევრი ლევან ბეჟაშვილი

იხ. დანართი – 3 ფურცელი.